

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili

Ulyss

გურამ წიბახაშვილის მოგზაურობა საკუთარ თავში

ადამიანის ისტორია მოგზაურობის ისტორიაა. წასვლა და არდაბრუნება. წასვლა და დაბრუნება. ხოლო ტექსტების ისტორია ადამიანების ისტორიაა. შესაბამისად – მოგზაურობის. ჩამოვთვალოთ? – ვეფხისტყაოსანი, ღვთაებრივი კომედია, დონ კიხოტე, მოზი დიკი, ულისე. და სხვები. და სხვები. მოგზაურობები – საკუთარ თავშიც მათ შორის. საქმე მარტივად როდია. ყველგან სამი გზაა – აქეთ წახვალ – ინანებ, იქით – წასული ბევრი უნახავთ, დაბრუნებული არავინ, მესამე გზა მოკლეა და სირთულის მოშიშები მიაბიჯებენ. ალბათ გახსოვთ ეს კლასიკური მოცემულობები ქართული ზღაპრებიდან. სხვაც არის მანდედან – წასვლის და დაბრუნების – ალბათ ოდისევსზე უფრო დრამატული საგა – „მიწა თავისას მოითხოვს“, როცა გმირი მიდის და უკვდავებას იპოვის უკან არდაბრუნების პირობით. უკან წამოსვლის და სამშობლოს მონატრების გრძობა ისე დიდია – უკვდავებას სიკვდილს არჩევს. ეს მხოლოდ რალაც ვიწროპატრიოტული ამბავი არ არის. ადამიანის „მოძრაობის;“ პრინციპთაგანია. დასაწყისშივე აღვნიშნე – წასვლა და დაბრუნება. წასვლა და არდაბრუნება. აი, ორი უმთავრესი მაგალითიც:

ჰომეროსის ოდისეა ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნია მოგზაურობაზე – ადამიანის უმთავრეს თვისებაზე და მოვალეობაზეც კი წუთისოფელში. ოდისევსის მოდელი უნიკალურია – თუ მთავარ გმირს და მის თანმხლებებს ერთ სხეულად განვიხილავთ – ის ყველაფრის ფასად ბრუნდება უკან – სამშობლოში, ითაკაში. დონ კიხოტიც კი ამ იდეის ამბავია. არა თუ იდალგო, ულისეს (ჯოისი) და ულისე ბალდადიდან (შმიტი) გმირებიც კი – მოდრენულ-პოსტმოდერნული სამყაროს შვილები. გზა – როგორც წრე.

მეორე მოდელის გამოსახველი წიგნის გმირსამშობლო არ აქვს (აქ გვანხენდება ჰეილის კარგი მოთხრობა „უსამშობლო კაცი“). მარკ ტვენის ჰეკი ფინი ახალი სახის ოდისევსია – გზა რომელსაც ის ადგას (მდინარე, ტივი), იმავე სირთულეებს მოიცავს, რასაც მისი ანტიკური „მოსახლე“ – ოლონდ ერთი სხვაობით – უკან დაბრუნებას არ გულისხმობს. თუ ჰეკლებერის და მის თანამგზავრებსაც ერთ სხეულად განვიხილავთ – ისიც უამრავი დანაკარგის ფასად მიიწევს წინ – ერთი მიზნით – შეისვენოს და ისევ წინ წავიდეს. არავინ იცის, რომელი სვლა უფრო ტრაგიკულია.

გურამ წიბახაშვილის წიგნი, ერთგვარი ფოტო – რომანი უცანურ, უნიკალურ დროზე მოგვითხრობს – დროზე სადაც ჩემს მიერ ხსენებული ორივე მოდელი ბათილდება – ეს სურვილის ეპოქაა. საკუთარი თავიდან გაქცევის, ტერიტორიიდან გაქცევის, სახლიდან გაქცევის, საკუთარ თავში დაბრუნების და ამავედროულად არ დაბრუნების, ქვეყანაში, სახლში დაბრუნება-არდაბრუნების ეპოქაა. საოცრად ფრაგმენტული, ტრაგი-კომიკური და გენიალური. მე ვიტყვოდი ეს ერთ-ერთი საუკეთესო ულისეა, საუკეთესო ოდისეაა ამირანის მოტივებით. მიჯაჭვული ხალხის მოლოდინი მთელი იმ დროინდელი ცხოვრების ნიუანსებით. ამაღლებული ყოველდღიურობა. სხვა ენით მოთხრობილი დიდი ამბავი.

მაშ, ასე – ეროვნული ბიბლიოთეკა გურმა წიბახაშვილის მოგზაურობას გთავაზობთ. ეს წიგნი თქვენი მოგზაურობაცაა. თქვენი ოდისეა. თქვენი ულისე.

გიორგი კეკელიძე

Guram Tsibakhashvili's Journey to his Inner Self

The life story of any human being is the story of a journey. Going away and not coming back. Going away and coming back. The story of any text is the story of a human being, and hence, the story of a journey. Need I enumerate? "The Knight in the Panther's Skin"; "The Divine Comedy"; "Don Quijote"; "Moby Dick"; "Ulysses" and others. These journeys are also directed towards one's inner self. Is the road there not easy. There are crossroads: if you go one way – you will regret it, if you go the other way – you will never come back, the third way is short and only those wanting to avoid complications choose it. Probably you remember this classic choice from Georgian fairy tales. Another Georgian tale "The Land Wants Its Due" is even more dramatic than the journey of Ulysses. The main character travels in search of immortality, on condition that he never comes back. However, the nostalgia is so strong that eventually he prefers to die in his motherland. This is not

a story of a group of people. This is one of the principles of human "movement": In the beginning I mentioned going away and coming back, or going away without coming back. Here are two primary examples:

Homer's "Ulysses" is a great book about travelling – the main human instinct and earthly obligation. The model of Ulysses is unique: if the main character and his companions are viewed as one – he sacrifices everything to return to his motherland in Ithaca. The same idea is evident in "Don Quijote". The famous Hidalgo, like Ulysses (Joyce) and Ulysses from Bagdad (Schmitt), are all children of a post-modern world and the road is viewed as circular. The character representing the second model has no motherland (in this regard we should recall Hailey's story about a man without a motherland). Mark Twain's Huckleberry Finn is a new type of Ulysses: his road (the river and the raft) is as complicated as that of the original ancient hero, except that in this case there is no return. If we view Huckleberry and his companions as one, he travels forward and sacrifices everything for a sole purpose – to have little break and continue his journey forward. Nobody knows which journey is more tragic.

Guram Tsibakhashvili's book is a kind of photographic novel that tells the story of a strange, even unique time – the time beyond both of the above-mentioned models: this is the epoch of desire to escape from one's self, the territory, the home, the return to one's inner self and, at the same time, to escape forever, return to one's home and country or escape for good. The book is surprisingly fragmentary, tragic and comic, written by a genius. I would say this is one of the best versions of Ulysses, the best journey of Odysseus with certain resemblances to the story of Prometheus. The expectation of enchained characters with nuances peculiar to the given period, elevated daily routine. It's a classic story told in a peculiar language.

So, the National Library represents Guram Tsibakhashvili's journey. This book is your journey too, your Odysseus, your Ulysses.

Giorgi Kekelidze

ხილვადის გარდაუვალი მოდალობა

წიბახას ფოტო-წიგნი ორი ქალაქის ამბავს მოგვითხრობს; უფრო ზუსტად – ერთი ქალაქის ამბავს თარგმნის მეორის ენაზე; ამავე დროს, გრაფიკული ტექსტი ითარგმნება ფოტოგრაფიკული ტექსტის ენაზე.

მეოცე საუკუნის დამდეგის დუბლინი – კოლონიური ირლანდიის დედაქალაქი და მეოცე საუკუნის დასასრულის თბილისი, რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობის მოლოდინი აუხდა. „ძვირფასი ბინძური თბილისი“, როგორც რომ ოდესღაც დუბლინი იყო ჯეიმზ ჯოისისათვის. მრუმე პოსტ-საბჭოური ლანდშაფტები, არაადამიანური არქიტექტურა (დე კირიკოს შემურდებოდა), და კიდევ – ელექტროდანადგარები და საკომუნიკაციო თუ საკანალიზაციო მილები და ყოველივე ამის ფონზე ანატომიური ფორმები მოძრაობენ, ჭამენ, იცინიან, მღერიან ცეკვავენ...

ვერაგი წიგნია ულისე - ტვინს აგირევს ისევე, როგორც რომ ოდესღაც სარაინდო რომანებმა აურია ტვინი დონ კინოტს. „ულისეს წაკითხვის შემდეგ სამყაროს ხედვა შემეცვალაო“ – ასე გამენდო ერთხელ წიბახა. ხოლო ფოტოგრაფისათვის „ხედვა“ ყველაფერია: „ხილვადის გარდაუვალი მოდალობა“ – სტივენ დედალოსის ცნობიერებაში გაეღვებულ ამ არისტოტელურ მინიშნებას ამჯერად ხედვის წიბახასეულ მოდალობასთან მივყავართ.

წიბახას ხედვა მარგინალურია, მის სამყაროს არ გააჩნია იერარქიული წყობა და ერთიანი სისტემის შემადგენელი ღერძი. აქ ყოველივე თანასწორია ყოველივეს წინაშე, დეტალი მყოფობს ისევე, როგორც მთელი, ყურადღების ცენტრში მარგინალური ექცევა. ცნობიერების ნაკადი (ჯოისის მწერლური მეთოდის ძირეული პრინციპი) ვიზუალურ შთაბეჭდილებათა ნაკადად მიედინება – სპონტანურ ნაკადად... უცნაურია, ფოტოგრაფია სტატიკურ ჟანრს განეკუთვნება - მისი პრინციპი და არსი

იმთავითვე დროის გაშეშება იყო დამდგარ სივრცეში. წიბახას არც ერთი ფოტო ამ პრინციპს არ იცავს. ვერ გეტყვით რა ხრიკებით, მაგრამ ამ ფოტოებში ყოველივე მდგრადიც კი დინამიურია – მოძრაობს, მიედინება. ამგვარად ხდება ცნობიერების ნაკადის ჯოისისეული პრინციპის ადაპტაცია – ცნობიერების ფოტო-ნაკადში...

წიბახასეული ხედვა მავანი ხვლიკისას ჰგავს – პერიფერიულია. ზოგიერთი სურათი იმგვარია, თითქოს შეტრიალებული თვალითაა დანახული – სიპ ქვაზე განახული ხვლიკის თვალით... ეს ხვლიკი სასაფლაოზე ცხოვრობს. ჯოისის რომანში სასაფლაოს ანუ „ჰადესის“ ეპიზოდის განწყობილება თითქოსდა მთელს ფოტოსერიას გასდევს. ამ სურათებში ყოველივეს სიკვდილის ნილაბი ადევს. ურბანისტულ გარემოში კი სიკვდილს თავისებური მოქალაქეობა აქვს: აქ იგი აღარ გვევლინება სიცოცხლის განახლების ეტაპად, როგორც რომ სამიწათმოქმედო თუ სამონადირეო კულტურებში. სიკვდილი ქალაქში უპირველესად თავისთავადი და უპირობო ფენომენია, რომელიც ყველას ერთნაირად ითრევს თავის როკვაში - ამ როკვას ფარანდოლა ერქმის. წიბახაც სწორედ ფოტო-ფარანდოლას ქმნის... სახეთა ნაკადი სახეთა წარმავლობაზე მეტყველებს, მეტიც – თავად ეს ინდივიდუალური სახენი მეტყველებენ თავიანთ წარმავლობაზე.

წიბახასეულ ხედვას მე „ფოტოწერას“ დავარქმევდი, ანუ შედგენილი ტერმინი ფოტო-გრაფია აქ პირდაპირი მნიშვნელობით ვლინდება. ერთის მხრივ იგი აღბეჭდავს ურბანისტულ წერით გარემოს: ქუჩის გრაფიტი, აფიშები და აფიშის ნაგლეჯები, ანაქრონისტული პლაკატები, წარწერები საფლავის ქვებზე... მეორეს მხრივ, ყოველ ფოტოს თან ერთვის ციტატა ულისედან – ამკარა შეუსაბამობით: ეს არაა ჯოისის რომანის ილუსტრირება, არამედ ორი ტექსტის შერწყმა, მისართვა, დართვა, ციტაცია, უფრო ზუსტად - დეციტაცია, გამოსახულებისადმი შეუსაბამობით განპირობებული. ასეთი გახლავთ წიბახას ფოტო-გრამატოლოგია (თუკი ესეგვარი დერიდაიზმი მომეტყვება) პუნკტ

ზურაბ ქარუმიძე

Ulysses. By Guram Tsibakhashvili

Dublin on the brink of the XX century – the capital of colonial Ireland, and Tbilisi of 90's, to which the expectation of national independence has finally come true...

"Dear dirty Tbilisi" – as once Dublin was for James Joyce. . Anatomic shapes move, eat, laugh, sing and dance on the background of gloomy post-soviet landscapes, inhuman architecture (De Chirico would be envious), naked electro equipment, communication and canalization tubes... Vicious book "Ulysses" is - messing up a mind just as the chivalric novels did to Don Quixote. Guram once said: "After Ulysses my perception of the world has changed"... The perception is everything for the photographer: "The inevitable modality

of the visible" – this flash of Aristotelian meaning in Stephen Dedalus's consciousness, drives us to Guram's modality of vision. It's marginal; his world has neither hierarchical order nor the compounding axis of the whole system. Everything is equal facing everything. The detail exists as the whole and the marginal gets in the center of attention. The stream of consciousness flows as the spontaneous visual impressions. The photography is a static genre – it has intended to freeze the time in the present space. No shot from Tsibakhashvili's photos follows this principle. I have no idea how, but in these pictures even most sustainable things are dynamic and keep on flowing. Thus Joyce's "stream of consciousness" principle is being adapted by the "photo-stream of consciousness."

Guram's vision is that of some lizard – peripheral. Some photos look like they were seen with the inverted eye, an eye of a lizard sitting on the rock. This lizard lives at the cemetery. It seems like the whole photo series carries the spirit of Joycean "Hades" episode. Everything wears the mask of death in these pictures. In an urban environment death has the citizenship of its own: It is no more the resurrection phase as in hunter-gatherer cultures. Death in the city first of all is a natural and unique phenomenon which involves equally everyone in its macabre dance named Farandole. Exactly, a Photo-Farandole is being created by Guram... The stream of faces bespeaks the transitory nature of the faces; moreover -- these individual faces bespeak their own transitory nature.

I would label Guram's vision as "photo-writing" – i.e. the compound term "photography" acquires its literal meaning in this case. From one side he illustrates urban textual environment: street paintings, agendas, achromatic posters, epitaphs... And from another every photo is followed by a quote from Ulysses - with the obvious mismatching; this is not the illustration of the novel by Joyce, but the merging, attaching, annexing of two texts -- a citation, or more precisely -- "de-citation" due to that very mismatching... Such is Guram's photo-grammatology (if you can excuse this Derridaism of mine) punct

Zurab Karumidze

tbilisi 88-89



հիշո՞ւմ եք ինչ-որ մեկին? Բրեյդի ժամանակը? Կիլկենի մարդիկ? Երբեք չեմ մոռցել ձեզ։
Կա՛մ լավ օր։

- This gentleman? Freeman's Journal? Kilkenny People? To be sure.
Good day, sir.




אדם זה, בן שנה להולדתו, נפטר ביום
הוא, אצל הוריו.



... այսինքն, երբ ցուցաբերելու քաղցր
էջեր-էջեր, ինչ կարելի է. հարկավոր քաղցր
հարկեր, երբեք քաղցր քաղցր...

...white flagons halted behind him, E.L.Y'S., while outriders pranced past and carriages. Opposite Pigott's music ware-rooms, gaily appalled...



ժողովուրդի շահերը պաշտպանելու համար



- Երբ ընդո ընդ, ջի. օ, Ենց.

- There are great times coming, Mary. Wait till you see.



אני יודע שאתם יודעים
אני יודע שאתם יודעים
אני יודע שאתם יודעים
אני יודע שאתם יודעים




מאזן לכה צלצן עגלה... לביצילא חב-הנה.

His smile faded as he walked... Useless words.



დღეს სწორედ. დავილა. ყნოს ვეჭვდნო ხომ. ბუტონი.
ყნოს ვეჭვდნო ხომ.



Զոյ Բոյճիկի աչքով աշուճ հարթ խոր փն յԵրեւոյթ:


Her pale blue scarf loose in the wind with her hair.



959⁸ 23456 163 3452 678 3.4567.



אנחנו ג'ז ופופ עם גיטרה וסינטיסייזר ופסנתר.



Ինչը բացահայտելու խնամքներ թողնելով, այսօր
սուր կյանքը մոռացելով, ինչը ու շահերը մոռացելով
հարկը, ծանցելով ճիշտագույն շնորհներ:

We begin to be interested in Mrs S. Till now we had thought of her, if at all, as a patient Griselda, a Penelope stay-at-home.



ჭაბუკიანი სიბრძნე, კარსახე: მძინარე, მძინარე.
სახი ნე მძინარე ი ნე ნე ნე ნე.

Phantasmal mirth, folded away: muskperfumed.
And no more turn aside and brood.



« Իմ օրը անհրճաբար յաճախեցի յայնչապետուհի մը անտառի մէջ քան թէ քաղաքի մէջ: »

It was a nun they say invented barbed wire.



הוא יושב שם ופועל על המכונה
והוא יושב שם ופועל על המכונה
הוא יושב שם ופועל על המכונה
הוא יושב שם ופועל על המכונה


About to pass through the doorway, feeling one behind,
he stood aside.



ეს არის მკვლელობის ადგილი
1992 წლის 11 თებერვლიდან
1993 წლის 11 თებერვლამდე
1992 წლის 11 თებერვალიდან
1993 წლის 11 თებერვლამდე



הגן של המלך המשיח
המלך המשיח המלך המשיח



- Taste it, sir, she said.



- 9-11, 4/3, 2f. had 65K 1-55000 3/20/00 1/3
1/2/02 1/5/02 1/5/02 1/5/02.

- Some people believe, he said, that we go on living in another body after death...



հայտնի շքեղի տեղերը չունենում են հարմարություններ



- Իբրև ձև պարզապես սեփականացման, ...
... ձևով և ձևով. Յուրախանքով շինում ենք:

- I read a theological interpretation of it somewhere, he said bemused. The Father and the Son idea. The Son striving to be atoned with the Father.



- We're always tired in the morning, Stephen said to Haines. And it is rather long to tell.



Ճիշտ է, որ Մուլիգանը 70-ական թվականներին
հայտնի դարձավ:

Buck Mulligan turned suddenly for an instant towards Stephen but did not speak.



- Բժուհի - Էր ու Տրակ, հարկած 18:25-ին, 1-558-րդ շրջանում
Մյուս թիվ 0-156-ը ոչ ոք:

- Monsieur de la Palisse, Stephen sneered, was alive fifteen minutes before his death.



William Humble, earl of Dudley, and Lady Dudley, accompanied by lieutenantcolonel Hesseltine, drove out after luncheon from the vice regal lodge.




Հայրիկը հարցազրույցի ժամանակ, ձեռքով ցույց էր տալիս
հուշահամբարը:



- ვის არ აქვს? აჟი უთხრა.
- ხის აქვს? ანუ რაღაცა უნდა იყოს.
ს, ზოგჯერ უნდა იყოს... ისევე თუ სხვები?

- Who has not? Stephen said.
- What do you mean? Mr Deasy asked.
He came forward a pace and stood by the table. ... Is this old wisdom?



Տակ ընդ առկաթի և ընդ Երևանի.

And no more turn aside and brood.



Անցումը շարքի վրա գրեթե սթաբիլ էր. սխալ պահի
դրություն. կրճի մեջ շարքի, երբ շարքի կտրվում պահի կրճի-
վում, ցածրը անցնելիս պահի դրությունը և շարքի վրա,
Ֆոնդի պահից շարքի կտրվում.

The high railings of Prospects rippled past their gaze. Dark poplars,
rare white forms. Forms more frequent, white shapes thronged
amid the trees, white forms and fragments streaming by mutely,
sustaining vain gestures on the air.



بانيه حمامه و حمامه و حمامه و حمامه.

He walked cheerfully towards the mosque of the baths.



միջոցներ չկան.
ԲՄՅ. ցիտրոս ձի, երկր աշխ.

Manner of Oxford.
Day. Wheelbarrow sun over arch of bridge.



67-90 ДР.



- 1.1.2017, 9:13, 24.02.2017, 20.2.

- At the cemetery, Martin Cunningham said.



Why do you bury him? He has a hole!



Ժամանակակից քաղաքային շինարարության
համար կարևոր է պահպանել և զարգացնել
մարդկային կյանքի որակը և ստեղծել
պայմաններ հարմար ապրելու և աշխատելու

Father Conmee turned the corner and walked along the North Circular road. It was a wonder that there was not a tramline in such an important thoroughfare.




Հոգեպարտ ձեռքով հարկադրված, սիրտը
հարկադրված զգացողով հարկադրված
հարկադրված.....


...a Homerule sun rising up in the northwest from the laneway behind the bank of Ireland. He prolonged his pleased smile.



Հիմա արեղենուս անշուս.



... she had no navel ... Womb of sin.



1. 16.01 16.01.2020
16.01.2020 ~ 20.01.2020



...dull porter sloped and churned inside. The bung-holes sprang open...



Զիհ, օրհ, օրհ!
Չեմ. յո՛ղ. ու՛րեմ հյճմեթը.

Quicker, darling!
On now. Dare it. Let there be life.



2010. 2010. 07. 24. 10:00.



ITALIA, MAGISTRA ARTIUM



- Յա՛հ. Կըմտնոյցի՞ր ըմա: Եյրեւե Ե՛լ Երթի՞՞ք:

- Will you join us, Myles? Ned Lambert asked.



Կիլիկիա: Երեւանի (ՄՍՏ) մոտ Երեւանի կենտրոնում զբոսաշրջիկները:

Silly billies: mob of young cubs yelling their guts out.



... dragging through the funeral silence a creaking wagon on which
lay a granite block.



Handwritten text in German, likely a note or caption related to the magazine cover. The text is written in a cursive style and includes the words "WIE STRUNTER AUSSIEHT..." and "1.5.1945".

In quintessential triviality
For years in this fleshcase a shesoul dwelt.
- They say...



„ Երկրորդ համաշխարհային պատերազմի ժամանակ: ”



Handwritten text in a non-Latin script, possibly Hebrew or Yiddish, located below the photograph. The text is written in dark ink on a light background.

A woman and a man. I see her skirties. Pinned up, I bet.



- Ե՛ր աչքը պահեմք: ծննդի.....



Հեր շուրջհիշող Կ'ընչու
P.S. Զանգեյ Ելու՞մե՛ն, Զի հի՞շտ ^{Զն՞ն}, Երեւոյն. Զ.

Your fond daughter,

Milly

P.S. Excuse bad writing, am in a hurry. By by.

M.



Տեղի կոչակներ ժողովուրդի մեջ իրենց ընկածը. ըստ իրենց ընկածը
և ըստ իրենց ընկածը. ըստ իրենց ընկածը. ըստ իրենց ընկածը.
Սերունդը.

Still, she's a dear girl. Soon be a woman. Malinger. Dearest papa.
Young student. Yes, yes: a woman too. Life. Life.



ဒါက အဲဒါက အဲဒါက လူတို့ - အဲဒါက လူတို့က အဲဒါက
လူတို့က အဲဒါက လူတို့က အဲဒါက - အဲဒါက.

He has seen a fair share go under in his time, lying around him field after field.



- ասիցի, Ի՞նչ ասեցի, ասի՞ր ձեռ...
- Չե՞րբ ասի, Ի՞նչ ասեցի, ասի՞ր ձեռ և կե՞ս ինչ ասեցի.
ասի՞ր, ե՞րբ ասիցի?

- Now, my miss, he said. ...
- Thank you, my miss. And one shilling three pence change. For you, please?



Glo-o-ri-a in ex-cel-sis De-o




האנשים! כולם כאן פעם הלכו סביב דבלין. נאמנים
עזבו.

Haw many! All these here once walked round Dublin. Faithful departed.



... Խոյտը սրացա ցորկի Լեւոնի շրճահան, անհրա-
ճախ ձեռքի, 1. քո խոյտը հոյճա՞ն Բոնի.....

...glints of light ... in Walter Sexton's window opposite by which John
Howard Parnell passed, unseeing.



Gravediggers in Hamlet. Shows the profound knowledge of the human heart.



Կայանքի 2676-հյճու յայտն/ուս ԲԻՅՈՒՅԵՐ
Եղծար/ը 2017-01-01 ին ԲԵՆԵՄԻՆԻՍ ԲԻՅՈՒՅԵՐ

With unfeigned regret it is we
announce the dissolution of a most respected
dublin burgess



”مذکور سے متعلقہ کتب خانہ“



Լսեալ Լսեցիսյո՞ւնք Զոյցս Ե՛րբո՞ւ ռե՛ ԼՂԲ՝
Օճոք ուրի՛... Դ՞ր



his sight his dark robe in
sit in the dark danger in dark.

O, poor Robinson Crusoe,
How could you possibly do so?



מבנין חב"ד וזו היתה היתה חב"ד
היתה חב"ד. זהו חב"ד. זהו חב"ד.


Near Aldborough house Father Conmee thought of that spendthrift nobleman. And now it was an office or something.



Landlord never dies they say.



Գոյնը պահված ժամանակը չափված էր քիմիա շինությունների միջոցով:



ՀԱՅԿԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ
ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ
ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ ԿԵՆՏՐՈՆ



160
If life was always like that. Cricket weather.

გურამ წიბახაშვილი „ქვირფასი ბინძური თბილისი“-ს შესახებ

მოდერნისტული ფაქტურა, როგორც ჩანს, სერიოზული ინსპირაციის საგანი აღმოჩნდა გურამ წიბახაშვილისათვის. მისივე თქმით, „ულისეს“ ტექსტმა შეცვალა და გაამძაფრა მისი ხედვა. გამოფენა ქარვასლაში სახელწოდებით „ულისე“ ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანს მიეძღვნა. მეორე მხრივ, შეიძლება მას ამ ათიოდე წლის წინანდელი თბილისის ფოტოისტორიაც დავარქვათ, ან თუნდაც – კულტურული ისტორიაც – რეალური ქალაქის რეალური პეიზაჟებით და ასეთივე პერსონაჟებით, ქვემოთ ხელით მიწერილი ციტატებით „ულისე“-დან.. თუ ზემოთ აღნიშნულ ავტორისეულ კომენტარს არ გავითვალისწინებთ, ერთი შეხედვით ძნელი იქნება კავშირის დანახვა ფოტოსახეებსა და ტექსტს შორის, თუმცა გამოუცდელი თვალისთვისაც პირველი შეხედვაც საკმარისია იმის დასაანახავად, რომ ზედაპირზე თამაშთან არ გვაქვს საქმე. კავშირი ფოტოსახეებსა და ტექსტებს შორის საკმაოდ ღრმაა და ავტორის მინიმალისტური ახსნაც – „ულისე“-მ შეცვალა ჩემი ხედვა და მე ვაფიქსირებდი იმას, რასაც უკვე სხვანაირად ვხედავდი“, – ბუნებრივია, რომ ანთროპოლოგიური მოგზაურობისაკენ გვიბიძგებს.

პერიოდი, რომელსაც გურამ წიბახაშვილის ფოტომარგინალიები ასახავს, ერთ-ერთი ყველაზე არასიმპათიური პერიოდია ჩვენი ისტორიისათვის. ეს არის 90-იანი წლების დასაწყისის თბილისი, მასში მცხოვრებთა შესაბამისი განცდით, რომ „რალაც სერიოზულ გაუგებრობაში მოვხვდით“. მოკლედ, პერიოდი დღევანდელი დისტანციიდან სავსებით გასაგებია, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის მარცხის შემდგომი პროცესი – ომით, ხრწნითა და აპათიით. ერთ ფოტონამუშევარზე დაფიქსირებულია ტიპიური საბჭოთა პლაკატი – „მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი – Больше демократии, больше социализма“. ფოტოზე ისეთი რაკურსიდან ფიქსირდება შუა ფრაგმენტი, რომ იკითხება – „მეტი – Боль“. ეს საკმაოდ წარმატებული ფიქსაციაა კონცეპტუალური სახელმწიფოს ამბიციების სამწუხარო ტრანსფორმაციისა მის ტრაგიკულ მარცხად.

ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში გურამ წიბახაშვილმა თქვა, რომ არ ეთანხმება იმ ფოტოხელოვანთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ომის დროს სიცოცხლე განსაკუთრებით მძაფრი ხდება და ღირს რისკი ომის დოკუმენტაციის შესაქმნელად. ის ფიქრობს, რომ სიცოცხლე ყოველთვის ინტენსიურია. აქ სიხარულით ვეთანხმები ავტორს და ვამატებ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ სფეროში ვერ გავიზიარებ ვერანაირ შეზღუდვასა და აკრძალვას ნებისმიერი ესთეტიური დასაბუთების საფუძველზე, ყოველთვის უფრო ძლიერი მუხტისაა ის იმიჯი, რომელიც დრამატიზმს სისხლისა და ღია ჭრილობების გარეშე ასახავს, იმდენად, რამდენადაც ინტელექტუალური „დამუშავება“ ბევრად უფრო დიდ „ხარჯვას“ მოითხოვს. „ულისე“-ს გურამ წიბახაშვილის ვერსიაში არის ასე „დამუშავებული“ აპათიური პეიზაჟები, „სასაფლაოები“ თავიანთი „ნესტითა“ და მათი ბირებელი ესთეტიკით. ერთი პეიზაჟი – გადათხრილი, ნაცრისფერი ადგილი ციტატით – „სასაფლაოზე“, – თქვა მარტინ კანინგემმა, ერთგვარი გამოხმობაა ჯეფ უოლის ავლანური რეპორტაჟებისა. აქ თითქოს „სასაფლაოა“ უნილაგი ჯარისკაცებისათვის. გარეუბნის ასეთსავე ქუჩაზე კი აქცენტირებულია თითქოს ზემოდან ჩამოშვებული მოძრაობის აკრძალვის აღმნიშვნელი საგზაო ნიშანი მინიშნებით ეგზისტენციალური ვაკუუმი ჩიხზე. კოლექციაში ხდება ზუსტი ინტერპრეტაცია ჯოისისეული სქემისა, სადაც ლეოპოლდ ბლუმის მოგზაურობა „ძვირფასი ბინძური დუბლინის“ ქუჩებში სიცოცხლის ინტენსივობას ქალაქის კლოაკასთან იდენტიფიკაციით აღწევს, რომლის ფონზეც მწიფდება კულტურის პროდუქტი სტივენ დედალოსის სახით... „ძვირფასი ბინძური თბილისის“ სერია მიჰყვება ჯოისის რუკას, თუმცა ზოგან სწორხაზოვანიც ხდება, სადაც თბილისის ფრაგმენტები ფიზიკურად ემსგავსება ჯოისისდროინდელი დუბლინის ფრაგმენტებს – ოკონოლის ქუჩისა და ხიდის კუთხეს. სხვა მხრივ, ეს სწორხაზოვნება კომპენსირებულია იუმორითა და დახვეწილი ორაზროვნებით.

ზემოთ ხსენებულ ნამუშევარზე – „მეტი – Боль“, ციტატა: „მაილზ, შემოგვიერთდებით? – იკითხა ნედ ლამბერტმა“. თბილისურ ვერსიაში კულტურული პროდუქცია ბოჰემის წარმომადგენლების სიტუაციური

პორტრეტების სახით ჩნდება. ისინი მათთვის ორგანულ ქსოვილში იმყოფებიან, რომელიც იმავდროულად იმ უნიკალურ ფონს ქმნიდა, სადაც სტილს ეგზისტენციალური, სასიცოცხლო დატვირთვა ჰქონდა.

კავშირს ულისესთან აქ სხვა მხარეც აქვს, გამომდინარე 90-იანი წლების არტ ცხოვრების სპეციფიკიდან.

ამ პერიოდის ავანგარდული მოძრაობები დასავლური პოსტმოდერნისტული აქციებით იყო შთაგონებული, თუმცა თავად ბოჰემური განწყობები უფრო XX-ის დასაწყისის მოდერნს ჰგავდა სიურრეალისტური, დადაისტური თუ ექსპრესიონისტული თვითგანცდით. გლობალიზაციის ეს პროცესი პოსტ-საბჭოთა სივრცეში საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანი იყო, თუმცა ზედაპირზე მხოლოდ თვითდამკვიდრების მოტივები, პლაგიატი, ეპატაჟური ექსტრემიზმი და აპათია ჩანდა. მოდამ “სოვიეტ ავანგარდზე” ფსევდოხელოვნებისა და ფსევდოხელოვანთა ნაკადი გამოიწვია, აუდიტორიაში კი უნდობლობა თანამედროვე ხელოვნებისადმი. თუმცა, ამ ფსევდო მოძრაობებსაც ჰქონდათ თავიანთი ღირებულება და არასახარბიელო, მაგრამ არც თუ ისე უმნიშვნელო როლი ეკისრებოდათ მის მონაწილეებს გარდამავალი ეპოქის სიუჟეტში.

შედარებით მცირე ნაწილი ცდილობდა ამოეცო გამოტოვებული გამოცდილებები დაკავშირებული დასავლურ კულტურასთან და მათთან არსებული გაუცხოება გადაეღებინა. ქაოსის ტრანსფორმაციის ეს სივრცე შეიძლება იწვევდა კიდევ ასოციაციებს “ულისეს” თავისი დროისათვის “ექსპერიმენტულ” სტრუქტურასთან.

ფოტომარგინალიების ფორმას გურამ წიბახაშვილი ხშირად მიმართავს. ერთ სერიაში მას ციტირებები ლუის კეროლის იგავიდან მოჰყავს. ამ სერიის შესახებ არსებობს „Art Forum“-ში გამოქვეყნებული მარეკ ბარტელიკის წერილი, სადაც ეს მანერა განმარტებულია, როგორც მანერა „რეალობის აღქმისათვის იმ ზოგადი მატრიცის გასაფართოებლად, რომელიც ლოკალურ კულტურულ საზღვრებს მიღმა არსებობს“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა უფრო გაღრმავებულია „ულისე“-ს ვერსიაში.

ხათუნა ხაბულიანი

It seems the modernist texture became the subject of serious inspiration for Guram Tsibakhashvili. “Ulysses”’s text has changed my seeing and extremised it, - he says.

The exhibition in Karvasla named as “Ulysses” was dedicated to its georgian translation and at the same time can be considered as a photo history of ninties’ Tbilisi , or cultural history with real landscapes of real city and personalities, pictures subscribed below with the quots from Joyce’s novel...at first sight it’s impossible to see connection between the footage and texts without taking in account the artist’ comment mentioned above..

although even dilettante can guess that itsn’t a play on surface. Relations between the photoimages and texts become deeper and beside the artists minimalistic expansion :

“Ulysses” has changed my manner of seeng and I was shooting everything which I was seeing in a different way” – can make us enthusiastic for an anthropological journey...

The period described in Guram Tsibakhashvili’s photo marginalias is connected with one of the unplesant period in Tbilisi history. It’s nineties with the sense of all people that they found themselves in terrible misunderstanding’. Concretly, it’s

simple to explain from today's distance, that it was a logical result after collapse of totalitarian regime with its war, decay and apathy. One work shows typical soviet slogans fragment: "more democracy, more socialism". the shot shows only middle part where russian and georgian words combine the phrase – "more pain". It seems exciting way to fix of fact, where conceptual state' ambitions transformed into tragic crash.

In one of the latest interview Guram Tsibakhashvili said that he doesn't agree the spread opinion of photographers which consider that life is more intensive in war time and its worthy to run a risk for creating the war documentary. I would like to share this opinion

and to add that despite not receiving any limits and dogmas in art sphere, always seems more strong showing dramatic mood without blood and open wounds as intellectual work asks for further elaboration. Guram Tsibakhashvili's version of "Ulysses" has this kind of "elaborated" landscapes expressing apathy, or cemeteries with their dampness and zombic esthetics. One of these landscapes shows digged up grey place commented by quote: "at cemetery, -said martin Cunningham, refers to Jeff Walls afghanian reports. It looks like a tomb for invisible soldiers. Another picture shows the sign of "stop driving" in suburb street emphasizing the hint on existential vacuum baffle.

The collection interprets the very scheme of Joyce's novel, where Blum's trip in dear, dirty Dublin's street intensifies by identification with city's cloaka and which is the background for cultural product as Steven Dedalus.. Series of "dear, dirty tbilisi" follows Joyce's map, sometimes becoming linear, where Tbilisi's fragments are almost phisically similar as Dublin's streets of Joice's times – the corner of O'connoll's street and bridge.

On the other side these parallels are compensated with he sophisticated humor and ambiguousness. The shot mentioned above ("more pain") – is subscribed by the quote: "will you join us, Milles?-asked Nedd Lambert".

The cultural production in Tbilisis' version appears as the situational portraits of the bohemians. They exist in very organic texture for them, by which the very unique basic was created where style earned existentialistic, living meaning.

The junction with Ulysses has another side issuing from the specific signs of artistic life. The avanguard movements of this period were provoked by the postmodernistic action of western model but the bohemian mood was more like the modern of XXth century's beginning with the motives of surrealism, dadaism or expressionism.

Guram Tsibakhashvili often references the form of photo marginalia. In one collection he used the quotes from Carrol's parable. These series are interpreted by Marek Bartelik in Art Forum where this manner is explained as the way for seeing reality for widening the common matrix, which exists behind the local limits".

This task seems to go further in "Ulysses" version...

Khatuna Khabuliani

ნარატიული ხილვები: გურამ წიბახაშვილის ფოტოგრაფია და ჯეიმს ჯოისის “ულისე”

“თეატრი . . . პირდაპირი უსარგებლობაა, რომელიც გვიბიძგებს უსაფუძვლო მოქმედებისკენ და რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული სარგებლობა მოცემულ რეალობაში”.

ანტონენ არტო

“მოდით, მამაკაცებსა და ქალებს კარგად მოვექცეთ; ისე, თითქოს ისინი ნამდვილნი იყვნენ; ალბათ, არიან კიდევ.”

რალფ უალდო ემერსონი

“მე შენ მიყვარხარ, მაგრამ რამდენადაც მე შენში ენით აულწერლად მიყვარს უფრო მეტი, ვიდრე შენ – პატარა ობიექტი “ა” (ტჰე ობჟექტ პეტიტ ა) – მე შენ ნაწილებად გშლი.”

უაკ ლაკანი

ფოტოსერია, რომელსაც გურამ წიბახაშვილი ჯეიმს ჯოისის “ულისეს” ილუსტრაციებად წარმოგვიდგენს, რამდენიმე მნიშვნელოვან იდეასა და მხატვრულ ჩანაფიქრზეა დაფუძნებული. ამ სახის ფოტოილუსტრაციები საკმაოდ იშვიათია და მას მრავალმხრივი დატვირთვა გააჩნია.

სერიის ფოტოების სუბიექტურობა აუცილებელი წინაპირობაა ფოტო-ნარატივის მრავალმხრივი ინტერპრეტაციისათვის. სერიის ცალკეული ფოტოების ფოტონარატივი თავისთავად განცალკევებულ ნარატივს წარმოადგენს და ამდენად, მრავალპლასტიან ნარატივთა ერთობლიობას ქმნის, ამიტომაც არ არის აუცილებელი მათი სიუჟეტის მიხედვით (“ულისეს” სიუჟეტის), მიმდევრობით დალაგება. მიმდევრობა თავისუფალია და იგი რომანის ნარატივის ფოტო/გამოსახულებითი ილუსტრირებისათვის არ არის მოწოდებული. ის უფრო “განწყობითეობრივი” ილუსტრაციებია.

ფოტოების უმეტესობა “საჯარო ადგილების”, ე.წ. “ქუჩის ფოტოებია”, რომელთა შორის “პრივატული” სივრცის გამოსახულებებიც გვხვდება. მათ ტექსტის “ნაგლეჯის”

დამატებით ემპირიული მნიშვნელობა ენიჭებათ. ტექსტი ხდება არა გამოსახულების “აღწერის” მცდელობა, არამედ თავისთავადი ნაწილი. ტექსტი ფოტო-ფაქტის რეალობის “სხვა” რეალობით შეცვლის მცდელობაა.

ფოტოგრაფია შეჩერების, პაუზის შექმნის ფორმაა (ნაბუიოში არაკი). ტექსტი ამ შემთხვევაში პაუზის, სიკვდილის “ინსტრუმენტია”.

ფოტოსერია სხვადასხვა “რეალობების” ერთობლობაა, რომელთაც ორი უმთავრესი “რეალობა” აერთიანებს: ჯოისის რომანის “რეალობა” და ფოტოზე “აღწერილი” თითოეული სივრცის რეალობა. წიბახაშვილისეული თამაში “რეალობებთან” ფოტოგრაფიული “თამაშის” ერთ-ერთი საკმაოდ რთული სახეობაა და უკიდურესი სუბიექტურობის ნიშანს ატარებს. ამდენად, შეუძლებელია სერიის ფოტოების იდენტიფიკაცია დროში, რეალობასა და პიროვნებებთან; ისევე, როგორც რთულია მათი გაიგივება რომანის ნარატიული პლასტის რეალობასა თუ პერსონაჟებთან.

ფოტოზე გამოსახულ თითოეულ ასეთ “კერძო სივრცეს” თავისი სოციალური თუ ისტორიული ნიშანიც გააჩნია, თუმცა, საბოლოო ნამუშევარში ისინი მხოლოდ ფონს ქმნიან ჯოისის რომანის ამ კონკრეტულ ფოტოში ასოცირებისათვის. სერიის ერთ-ერთ ნამუშევარში, რომლის ტექსტი ამბობს: “სასაფლაოზე, თქვა მარტინ კანინგამმა”, ინდუსტრიული “რეალობაა” მოცემული და სასაფლაო, “ქვე-სამყარო” აქვე ასახული გვირახის შესასვლელით ასოცირდება. მსგავსი სიმბოლოები მრავლად გვხვდება სერიის ფოტოებში და, ძირითადად, წიბახაშვილის მედიუმიდან სხვაგვარი ღირებულების მინიჭების მცდელობად შეიძლება, აღვიქვათ.

გურამ წიბახაშვილი დროის, “ბუნების მდგომარეობის”, მოცემული რეალობისა და მისივე ირეალობის, განწყობისა და დინების ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოგრაფია, ისევე როგორც ექსპერიმენტების მუდმივი “პროვოკატორი”. მოცემული ფოტოსერიაც ყველა ამ ფაქტორის ნიშანს შეიცავს და მისი ექსპერიმენტული ნატურის ერთ-ერთი ყველაზე ექსტრავაგანტული ნიმუშია.

შალვა ყიფშიძე

Narrative Dreams Photography by Guram Tsibakhashvili and James Joyce's Ulysses

"Theatre ... is a direct uselessness, which incites us to groundless action and has no a specific use in the present reality."

Antonin Artaud

"Let us treat men and women well; treat them as if they were real; perhaps they are."

Ralph Waldo Emerson

"I love you, but, because inexplicably I love in you something more than you – (the objet petit "a"), I mutilate you."

Jacques Lacan

A Series of photo illustrations by Guram Tsibakhashvili, created for Ulysses by James Joyce, is based on several important ideas and artistic concepts. Photo illustrations of this kind are very rare and have a versatile meaning. The subjectivity of the series is a necessary precondition of complex interpretation. Each photo is a separate narrative in itself, thus creating a unity of multifaceted narratives. This is the reason why it is so

important to arrange them in accordance with the plot of the novel (Ulysses) in strict succession. The sequence is free and more likely to represent the illustrations not according to plot, but in compliance with perceptions.

The majority of the photos are of "public places", so called "street photos", but some also depict "private spaces". With the attachment of extracts from the text they acquire additional empirical importance. The text becomes not just an attempt to describe the image, but allows it to exist independently. The text is an attempt to substitute the reality of photo with another reality.

Photography is a form of creation of suspense, pause (Nabuioshi Arak). In this way it is the tool of death, of a pause. The photo series is a unity of different "realities" unified by two main "realities": the reality of Joyce's novel and the reality of each space captured in the photo. The photographer's way of playing with "realities" is one of its complexities, bearing the mark of subjectivity. Thus, it is impossible to identify the photos with reality and personalities throughout time. It is also difficult to identify them with the different layers of the novel's narrative and characters. Every captured "private space" has its own unique social or historic mark, but this "private space" is only a medium to create associations between the novel and each photograph.

One of the works from the series, with attached texts saying: "At the cemetery, Martin Cunningham said", reflects an industrial "reality" and the cemetery, the "sub-world", is associated with the tunnel entrance. Many similar symbols, found in this photo series, can be considered as the author's attempt to give a different value to the medium.

Guram Tsibakhashvili is one of the best photographers of time, of "states of nature", of present reality and its own irreality, of perception, of flow, as well as a constant "provocateur" and experementalist.

The present photo series contains all the themes mentioned above and is the most extravagant example of the author's experimental nature.

Shalva Kipshidze

გურამ წიბახაშვილი ფოტოსერია „ულისე“

„ამ ხელოვნებისთვის მხოლოდ შუქი და ადგილია საჭირო და კიდევ „აღმქმელი“, რომელიც სათანადო ყურადღებას დაუთმობს მოვლენებს“.

იენ ჯეფრი

თანამედროვე ხელოვნებაში ერთი ადამიანის მიერ შესრულებული ნამუშევარი ხშირად, მეორე ადამიანისთვის შემოქმედების ინსპირაციის წყაროდ და რაც მთავარია, მისსავე ნაწარმოებად იქცევა, რაც სხვა ეპოქაში შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენთვის კი ამას, თავდაპირველი ნამუშევრის ავტორის ვინაობას ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თანამედროვე ხელოვნება „კონტექსტის ცვლის“ ხელოვნებაა და ის ირგებს ამ ფორმებს თავისი მიზნების მისაღწევად.

ფოტოგრაფ გურამ წიბახაშვილი ფოტოსერია „ულისე“ 1988–89 წლებში შექმნა, მაშინ როდესაც ჯეიმზ ჯოისის ამავე სახელწოდების რომანს კითხულობდა. როგორც თვითონ ამბობს „ულისეს“ კითხვისას

ისეთ რალაცებს მიაქცია ყურადღება, რაც მანამდეც იყო, მაგრამ ვერ ამჩნევდა და მან დაიწყო ამ ყველაფრის დაფიქსირება.

ეს ფოტოები ამ პერიოდის თბილისს ასახავს, მოსიარულე ხალხით დაფარულ ქუჩებს, მანქანებით სავსე ქუჩათა კვეთებს, ცარიელ საფლავებს, ხალხით სავსე ტრანსპორტს, ადამიანებს იმდროინდელი „მოდური“ ჩაცმულობით, მათ გართობას კონცერტებსა და მოდის ჩვენებებზე, ბნელ ოთახში მდგარ ტელევიზორში ასახულ ეროტიული ფილმის კადრებს, კვლავ ქუჩაში – ჩამოხეულ აბრას, აფიშებს, ეს ყოველივე კი იმ ეპოქის რთული და დამძიმებული ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო ასახვაა რეალობიდან არც ისე შორს მდგარი სუბიექტურობით. თითქოს ქუჩის ხმაური, სასაფლაოს სიჩუმე, მძიმე მუსიკის რიტმი და სასაუბროდ შეკრებილი ხალხის ხმა ისმის. აქ ცხოვრება თავისი რიტმითა და „ლოგიკით“ მიდის. ეს ფოტოსერია იმდროინდელ თბილისის და მასში მცხოვრები ხალხის შესახებ მოგიტხრობს და მათი ამსახველი ფოტოგრაფი ამ „სამყაროს“ ბუნებრივი ნაწილია, ის აფიქსირებს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, აფიქსირებს კადრებად და ავსებს ფოტოსერიას, სახელად „ულისე“, რომელშიც ჯეიმზ ჯოისის მსგავსად, ცნობიერების ნაკადის ერთგვარ ვიზუალიზაციას ახდენს.

ამ ფოტოსერიაში შავ-თეთრი ფირით გადაღებული და შემდეგ 18x24სმ ფორმატით დაბეჭდილი 75 ფოტო შედის, რომელთაც გურამ წიბახაშვილი ჯეიმზ ჯოისის „ულისე“-დან ციტირებული ტექსტით ავსებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შევსება არა ფოტოს შინაარსობრივ დაუსრულებლობას ან თუნდაც ნაკლს, რაიმე მოკლებულს ნიშნავს, არამედ ავტორის მიერ თითოეულ ნამუშევარში „ჩადებული“ იდეის, აზრის, კონცეფციის ხაზგასმას უფრო ჰგავს. ეს ყოველივე კი კონცეფტუალური ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია.

ამ სერიაში შეგვხვდება პორტრეტები, ისევე როგორც პეიზაჟის მსგავსი ხედვები, რომლებიც სახლების სახურავებზე ან სასაფლაოზეა გადაშლილი. ფოტოგრაფი აფიქსირებს მის გარშემო არსებულ სამყაროს მასში მყოფი საგნებით და მათი დეტალებით ისე, რომ არცერთი დეტალი ზედმეტად არ აღიქმება. ყველა საგანი ფოტოს

მიზნისკენ, იდეისკენ მიმავალია. აქ რთულია მთავარისა და მეორეხარისხოვანის პოვნა, თითქოს ყოველი საგანი მთავარი როლის შემსრულებელია და მათი ამგვარი ერთიანობა გარემოს საერთო განწყობას ქმნის.

გურამ წიბახაშვილს სამყაროსადმი არც გულგრილი და არც პათეტიკური დამოკიდებულება აქვს, იგი ხშირად ჩვეულებრივ კადრში, საგნებში გარკვეულ ირონიას ან დაფარულ მნიშვნელობას დებს, რითიც ეს ნამუშევრები უფრო „მოცულობითი“ და მრავალშრიანი ხდება. მას არ უნდა, რომ ფოტოები ერთმნიშვნელოვანი შეფასების, სწორხაზოვანი აღქმის ობიექტი იყოს. ის მუდმივად „ათამაშებს“ გამომსახველობის რომელიმე ან რამდენიმე ელემენტს: ფორმებს, განათებას, ხედვის წერტილს და შავ-თეთრი ფოტოგრაფიის შემთხვევაშიც კი - თვით ფერებს.

ამ სერიას ხელოვნების ნაწარმოებად დროის განსაკუთრებული „მრავალშრიანობაც“ აქცევს - ის, რომ ეს ფოტოები თან „რეპორტაჟულად“ თანადროულ ეპოქას ასახავს და ამასთანავე, თანამედროვე კონცეფტუალური ხელოვნების კანონებითაც არის შექმნილი. გამომსახველობითი საშუალებების ამგვარი დატვირთვა, კონტექსტის ცვლა ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა.

გურამ კაპანაძე

Guram Tsibakhashvili – Photo Series “Ulysses”

“For this art form only the light and place are mandatory, as well as the right person who will perceive the event properly.”

Jan Jeffrey

In modern art, work undertaken by one person often becomes a source of inspiration for another artist and it becomes his own work, something which has been made possible with the arrival of more advanced technologies. For us the name of the original author does not have a great importance, since modern art is the art of “Context Change” and it can use these shapes to achieve its aims.

